

ეპშტეინ-ბარის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულის ტესტი

ეპშტეინ-ბარის ვირუსის (ეპვ) ტესტი გამოიყენება სისხლში ეპვ ანტისხეულების აღმოსაჩენად და ეპვ ინფექციის დიაგნოსტიკისთვის. ეს ინფექცია ძალიან გავრცელებულია – სიცოცხლის განმავლობაში ა.შ.შ.-ის მოსახლეობის დაახლოებით 95% ინფიცირდება ეპვ-ით.

ვირუსი ინფიცირებული პირის ნერწყვში იმყოფება და ადვილად ვრცელდება სხვა ადამიანებზე. ადამიანების უმრავლესობა ეპვ-ით ბავშვობისას ინფიცირდება. ინფექციას ინკუბაციური პერიოდი აქვს, რომელიც რამოდენიმე კვირას გრძელდება. ამას მოსდევს ინფექციის მწვავე სტადია, რომლის დროსაც ვირუსი ინტენსიურად მრავლდება. ბავშვებსა და მოზარდებში ეს პერიოდი შეიძლება უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს ან მხოლოდ მცირედ იყოს გამოხატული დაავადების ნიშნები. მოზარდილებში კი ეპვ-ს შეუძლია ინფექციური მონონუკლეოზის გამოწვევა, რომელსაც თან ახლავს ისეთი სიმპტომები, როგორცაა: სისუსტე, ცხელება, ყელის ტკივილი, ლიმფური კვანძებისა და ელენთის გადიდება. 1-2 თვის შემდეგ, ვირუსი რაოდენობრივად იკლებს და სიმპტომებიც ქრება, მაგრამ თავად ეპვ მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩება სხეულში. ვირუსი იმყოფება ლატენტურ მდგომარეობაში და შეიძლება მოხდეს მისი რეაქტივაცია, თუმცა ეს არ არის განსაკუთრებით საშიში, თუ ადამიანის იმუნური სისტემა არ არის ძალიან დასუსტებული.

რატომ კეთდება ეპვ ანტისხეულის ტესტი

ეპვ ანტისხეულების ტესტი გამოიყენება:

- ინფექციური მონონუკლეოზის დიაგნოსტიკისთვის
- ეპვ ინფექციისა და მსგავსი სიმპტომების მქონე სხვა დაავადებებს შორის დიფერენციული დიაგნოზის გასატარებლად

ეპვ ტესტი ინიშნება, როდესაც:

- ადამიანს აღენიშნება ინფექციური მონონუკლეოზის სიმპტომები
- ორსულს აქვს ვირუსული დაავადების ნიშნები. ასეთ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია ეპვ-ს და ისეთ დაავადებებს შორის დიფერენციული დიაგნოზის გატარება, როგორებიცაა ციტომეგალოვირუსული ინფექცია და ტოქსოპლაზმოზი
- პაციენტის იმუნური სისტემა დათრგუნულია და მას კონტაქტი ჰქონდა მონონუკლეოზით დაავადებულთან

ეპვ ტესტს შეუძლია არა მარტო ეპვ ინფექცია აღმოაჩინოს, არამედ მიმდინარე და

გადატანილ ინფექციას შორის განსხვავება გამოავლინოს.

ებვ ანტისხეულების განსხვავებული ტიპები არსებობს: ვირუსული კაპსიდის ანტიგენის – IgM ანტისხეულები (VCA-IgM), VCA-IgG ანტისხეული, ეპშტეინ-ბარის ნუკლეარული ანტიგენი (EBNA), ადრეული ანტიგენის საწინააღმდეგო ანტისხეული (EA-D).

ამ ანტისხეულებიდან თითოეულის დონე ებვ ინფექციის სხვადასხვა ეტაპზე იმატებს და იკლებს. შესაბამისად, მათ შეუძლიათ ექიმს მიაწოდონ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა ებვ ინფექცია.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება. სპეციალური მომზადება საჭირო არ არის.

შედეგების ინტერპრეტაცია

ტესტის შედეგების სწორი ინტერპრეტაციისთვის აუცილებელია სიმპტომების და ავადმყოფობის ისტორიის გათვალისწინება.

მოცემული ცხრილი ასახავს სისხლში ანტისხეულების არსებობის სხვადასხვა ვარიანტს და მათ შესაძლო მიზეზებს:

ტესტის შედეგები	შედეგების ინტერპრეტაცია (შესაძლო მიზეზები)
უარყოფითი ებვ ანტისხეულების ტესტი; პაციენტს მონონუკლეოზის სიმპტომები არ აღენიშნება	პაციენტი ებვ-ით ინფიცირებული არ არის
დადებითი VCA-IgM ანტისხეულების ტესტი	ებვ ინფექცია
დადებითი VCA-IgG და EA-D IgG	პაციენტს ან ამჟამად აქვს ებვ ინფექცია ან უახლოეს წარსულში იყო ინფიცირებული
უარყოფითი VCA-IgM, მაგრამ დადებითი VCA-IgG და EBNA ანტისხეულების ტესტი	პაციენტი წარსულში ყოფილა ებვ ინფიცირებული

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

ებვ ანტისხეულების ტესტი.

საჭირო ინფორმაცია

არსებობს კიდევ 2 სხვა ანტისხეული, რომლებიც სისხლში ებვ ინფექციისას ჩნდება -

VCA-IgA და EA-R IgG. თუმცა, ამ ანტისხეულების ანალიზი ძალიან იშვიათად კეთდება.